ხაშურის მოამბე

№25 (156) 25 ივნისი, ორშაბათი, 2018 წელი

შიდა ქართლის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

ქარელის მუნიციპალიტეტის მერიაში, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ–გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომას შიდა ქართლის გუბერნატორი, აკაკი მაჭუტაძე, მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები ესწრებოდნენ.

საკონსულტაციო საბჭოზე რეგიონში მიმდინარე და მომავალ წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ იმსჯელეს. ამჟამად, მიმდინარე სამუშაოები გეგმის მიხედვით ხორციელდება და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება. რაც შეეხება გეგმებს, გუბერნატორის თქმით, 2019 წლისთვის აქცენტი საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე გაკეთდება, რომლებიც რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება.

შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან–გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭო 3 თვეში ერთხელ იკრიბება.

გუბერნატორის ინიციატივით მედია-ტური ხაშურიდან დაიწყო

შიდა ქართლის გუბერნატორი, ადგილობრივ მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან ერთად, რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ათვალიერებს.

სამხარეო ადმინისტრაციის ცნობით, ტურის მიზანია რეგიონალური განვითარების ფონდის თანხებით დაფინანსებული პროექტების გაცნობა.

მედია-ტური ხაშურის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო. ხაშურში შემდეგი პროექტები ხორციელდება:

სოფელ ზემო ოსიაურში დაიწყო გზის მოასფალტების სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყობა 3 კმ-მდე მონაკვეთი, დაიგება ასფალტის საფარი და გაკეთდება სანიაღვრე არხები. პროექტი მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება. რებილიტირებული გზით სარგებლობას შეძლებს 6 სოფელი. პროექტზე მილიონამდე ლარი დაიხარჯება, რომელიც რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

ინტენსიურად მიმდინარეობს ქვიშხეთის გზის რეაბილიტაციაც, რომლის დასრულებაც ივლისში იგეგმება. პროექტი თანადაფინანსებით ხორციელდება და 1 მილიონამდე ლარი ჯდება. მოეწყობა 2 200 გრძივი მეტრის გზა და მიმდებარე ჩიხებში - 282 გრძივი მეტრი გზის მონაკვეთები. რეაბილიტირებული გზით ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულის და მასში შემავალი სოფლების 3 000-მდე ადგილობრივი მაცხოვრებელი და სტუმარი ისარგებლებს.

აქტიურ ფაზაშია სურამში, 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია. პროექტი, ამავდროულად, ითვალისწინებს სანიაღვრე არხების მოწყობასაც, რაც მთლიანობაში 542 000 ლარის ღირებულებას შეადგენს. მშენებლობა მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება და გაუმჯობესებული პირობებით 800-მდე მოსახლე ისარგებლებს.

სოფელ ტეზერში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა. პროექტზე 540 999 ლარი დაიხარჯა. აღნიშნული გზით ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ტეზერის, ყიფიანთუბნის და სავანისუბნის 2000-მდე ადგილობრივი მცხოვრები ისარგებლებს. პროექტის ფარგლებში მოასფალტდა 2040 გრძ.მ. სიგრძის გზა და მოხდა საგზაო მონიშვნების მოწყობა.

ხაშურის სპორტული კომპლექსის მიმდებარედ მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა მინი სტადიონი, საჩოგბურთო მოედანი, ავტოსადგომი, რეკრეაციული ზონები. ეზოს კეთილმოწყობაზე 700 000 ლარი დაიხარჯება. სამუშაოების დასრულება ზაფხულში იგეგმება.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო"- 2018-ის საუკეთესო ათეულში ორი ხაშურელი მასწავლებელია

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო" 2018-ის საუკეთესო ათეული უკვე ცნობილია. წლევანდელ 10 საუკეთესო მასწავლებელთა შორის ორი ხაშურის მუნიციპალიტეტიდანაა. ესენი არიან: ხაშურის პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი **ნანა დაბრუნდაშვილი** და სურამის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მეორე საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი **ჯაბა ლაბაძე.**

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო" კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველოს", მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა. აღნიშნული ინიციატივა საქართველოში პირველად ხორციელდება და მასწავლებელთა პოპულარიზაციისკენ მიმართული გლობალური კამპანიის – „The Global Teacher Prize" – ნაწილია.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო" მიზნად ისახავს წარმატებული მასწავლებლების გამოვლენას, საზოგადოებისთვის მათ წარდგენას და ამ გზით პროფესიის პრესტიჟის ზრდას.

„ხაშურის მოამბე" ულოცავს ქალბატონ ნანას და ბატონ ჯაბას ამ მნიშვნელოვან აღიარებას და იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს მომავალშიც ეყოლება ასეთი წარმატებული პედაგოგები.

სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო- ძირეული რეფორმები აქტიურ ფაზაშია

დღევანდელ ნომერში, მკითხველისთვის საინტერესო თემას უნდა შევეხოთ. ,,ხაშურის მოამბის“ რედაქცია სურამის ფსიქიატრიულ კლინიკას ესტუმრა. დაწესებულებაში, მმართველი რგოლის შეცვლის შემდეგ, არსებული ვითარება მკვეთრად შეიცვალა, ამაში დასარწმუნებლად კი ადგილზე მივედით და კლინიკის ახალ დირექტორს **სპარტაკ ბუკიას** ვესაუბრეთ. გასულ წლებში, კლინიკაში არსებული მდგომარეობა, მართლაც, რომ სავალალო იყო და ზემდგომი ორგანოების ჩარევას საჭიროებდა. სატელევიზიო სკანდალების შემდეგ კი ცვლილებების ეტაპი გადაუვალი გახდა. დღესდღეობით, კლინიკას ენერგიული და საქმის პროფესიონალი დირექტორი ხელმძღვანელობს, რომელიც მზადაა სწორი მენეჯმენტით კლინიკა აღმავლობის გზაზე დააყენოს. ბატონმა სპარტაკმა მიმდინარე სამუშაოების შესახებ, უფრო ვრცლად, ინტერვიუში ისაუბრა.

- ბატონო სპარტაკ, როდიდან შეუდექით კლინიკის მართვას?

– აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორის პოზიციაზე, მაისის თვიდან დავინიშნე. სურამის ფსიქიატრიული კლინიკა კი, სწორედ, ამ ცენტრის შემადგენლობაში შედის. თავდაპირველად, როდესაც დროებითი წარმომადგენელი ვიყავი სამედიცინო საქმიანობის რეგულირების კუთხით, პირველ რიგში, საჭირო გახდა სალიცენზიო პირობების მოწესრიგება, აგრეთვე, დაიგეგმა კლინიკის კარდინალური განახლება და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია. სარემონტო სამუშაოები, ეტაპობრივად დაიგეგმა. კორპუსი, სადაც, ამჟამად, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, მართლაც, რომ ისტორიულია – ის არსებობის 120 წელს ითვლის.

- სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პირველად მოსვლისას რა მდგომარეობა დაგხვდათ?

– მოგეხსენებათ, სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ირგვლივ შექმნილ

მდგომარეობას, მრავალი ფილმი მიეძღვნა სატელევიზიო სივრცეებში, ამას, თან ერთვოდა სახალხო დამცველის ვრცელი მოხსენება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ განსაკუთრებული კონტროლის ქვეშაა აყვანილი აღნიშნული საკითხი. მდგომარეობა მართლაც, რომ სავალალო იყო, პაციენტები კლინიკაში იმყოფებოდნენ გაუსაძლის პირობებში. გეტყვით, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების კუთხით, დაფინანსება გაზრდილია, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ ორგანიზაციამ, უფრო მეტად შეძლოს საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და ძირფესვიანად მოაწესრიგოს არსებული ვითარება, რათა პაციენტისთვის ღირსებისშემლახავი არ იყოს ამგვარ დაწესებულებაში ცხოვრება.

- ჩვენ, ეზოში შემოსვლისთანავე შევნიშნეთ, კლინიკის ძირეული ცვლილებები, რემონტიც აქტიურ ფაზაშია, მოგვიყევით უფრო ვრცლათ მიმდინარე სამუშაოების შესახებ?

– დიახ, სასიკეთო ძვრები ამ მხრივ, ნამდვილად შეინიშნება. სარემონტო სამუშაოები, სახურავის შეცვლით, სანტექნიკის და გათბობის სისტემის მოწესრიგებით დაიწყო. ყოველივე ამის შემდეგ, კი კლინიკას კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდება.

- რამდენი შეადგინა სარემონტო სამუშაოების დროს დახარჯულმა ბიუჯეტმა?

– აქვე აღვნიშნავ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი სამუშაოებს საკუთარი სახსრებით აფინანსებს და არა, მოზიდული სახსრებით. ამ ეტაპისთვის, ტენდერი გამოცხადებული იყო სახურავზე, ელექტროობაზე, სანტექნიკაზე, გათბობაზე და მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების ჩასმაზე - ბიუჯეტმა კი 100 000 ლარამდე შეადგინა.

- რა თქმა უნდა, პაციენტთა მდგომარეობაც არ იყო სახარბიელო..

– დიახ, ასეა. ყურადღება გასამახვიებელია ერთ უმთავრეს საკითხზე: პაციენტები კლინიკაში წლობით იმყოფებოდნენ - ეს სრულიად მიუღებელია, რადგანაც კლინიკაში პაციენტის დაყოვნების მაქსიმალური დრო 6 თვეა. გამომდინარე იქიდან, რომ თუ კლინიკა ამ პერიოდში, პაციენტის არსებულ მდგომარეობას ვერ ცვლის, აქ უკვე დაწესებულების პასუხისმგებლობის საკითხი დგება. გვქონდა ასეთი შემთხვევა: 1997 წელს მოსული პაციენტის გადამისამართება მოხდა, ეხლახანს, ხონის თავშესაფარში. გასულ წლებში, არ ხდებოდა მწვავე პაციენტების მიღება და კლინიკაში მუდმივად ერთიდაიგივე კონტინგენტი ცხოვრობდა. ჩვენ მოვახდინეთ და ალბათ, პირველად საქართველოში, რომ 52 პაციენტი გავწერეთ, ისინი დაუბრუნდნენ საკუთარ ოჯახებს, ასევე, სოციალურ მუშაკებს დავუკავშირდით ყველა რაიონში და გადავეცით, რომ ეს პიროვნებები მიყვანილნი არიან ოჯახებში, თან აქვთ პირადობის მოწმობა, პენსიონრობის შემთხვევაში აქვთ საპენსიო ბარათები. ეს პაციენტები ჩაბმულნი არიან, აგრეთვე, ამბოლატორიულ პროგრამაში, რათა მათი მკურნალობა მომავალშიც შეუფერხებლად გაგრძელდეს, ჩვენი უმთავრესი მიზანია, პაციენტი მომზადდეს ოჯახში დასაბრუნებლად, მოხდეს მისი რესოციალიზაცია. არ დაეკარგოს გადაადგილების, ფულის მართვის, ადამიანებთან ურთიერთობის უნარი. გარკვეული სახით ჩაკეტილობა და ამგვარ დაწესებულებაში ხანგრძლივი ყოფნა დაღს ასვამს პაციენტს. მიუხედავად იმისა, თუ როგორ ეპყრობიან აქ, მათი უნარები, სამწუხაროდ, იზღუდება.

- შეეხო თუ არა ცვლილებები აქ მომუშავე მომსახურე პერსონალს?

– პირველი რეორგანიზაცია უკვე განხორციელდა, იყო გარკვეული საკადრო შემცირება, ექიმების კუთხით კი, პირიქით, მატებაა. გეტყვით, რომ კლინიკაში ექიმთა მორიგეობა 20 წლის განმავლობაში, საერთოდ არ ყოფილა. ამ ეტაპზე, მოზიდული გვყვავს მაღალკვალიფიციური კადრები: ფსიქიატრები და ექთნები, რომელთათვისაც მუდმივი გადამზადება და ტრენინგები ჩატარდება. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან, რომელიც ერთ-ერთი ფლაგმანი დაწესებულებაა ფსიქიატრიის სფეროში, აგრეთვე, სხვადასხვა ფსიქიატრიულ ასოციაციებთან, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენმა კადრებმა უწყვეტი განათლება მიიღონ.

- ამ ეტაპზე რამდენი ბენეფიციარია კლინიკაში?

– ამ ეტაპზე ჩვენ 40-მდე ბენეფიციარი გვყვავს, როდესაც შენობას რეაბილიტაციას ჩავუტარებთ, მათი რიცხვი, დაახლოებით, 70-75-მდე გაიზრდება.

- თანხა რამდენია გათვალისწინებული დღიურად ერთ პაციენტზე და როგორ შეიცვალა მათი მდგომარეობა ახალი მმართველობის პირობებში?

– ერთ ქრონიკულ პაციენტზე, დღეში, 23 ლარია გამოყოფილი. მასში შედის: მედიკენტები, კვება, სამედიცინო პესონალის მომსახურება და ა.შ. ცვლილებებს დავიწყებთ კვების ბლოკით, რომელიც, აქამდე, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. ჩატარდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომელიც თავად ამზადებს საკვებს და ადგილზე მოაქვს. გარდა იმისა, რომ აგვარიდა ზედმეტი ხარჯები, ის მომხმარებელთა ასოციაციისა და სურსათის სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციაა და გვაწვდის უმაღლესი ხარისხის საკვებს. ჩვენს პაციენტებს ემსახურება დიეტ-ექთანიც, რომელიც მათთვის სპეციალურ მენიუს ადგენს. აგრეთვე, სავალალო მდგომარეობა იყო შექმნილი სამრეცხაოების მხრივ, ამ კუთხითაც ჩატარებულია ტენდერი. ამ დღეებში უკვე მოვაწერთ ხელს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც პაციენტებს უკან დაუბრუნდებათ თეთრეული, ტანსაცმელი, ლეიბები, საბნები - გარეცხილი და დაუთოებული. დაგეგმილი გვაქვს შრომითი თერაპიის აღდგენა, იმ სტანდარტების მიხედვით, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოში არსებული მდგომარეობა. კლინიკა მოემსახურება მწვავე პაციენტებს და 6 თვემდე დაყოვნების პაციენტებს რეგიონის მასშტაბით.

- როდის დასურლდება სარემონტო სამუშაოები?

– სარემონტო სამუშაოები შემოდგომით დასრულდება, ბენეფიციართა გადაყვანას განახლებულ კორპუსში, სწორედ ამ დროისთვის შევძლებთ. პალატები აღჭურვილი იქნება უახლესი დონის აპარატურით და ყველა საჭირო ნივთებით. მასალა, რომლითაც შენობა რემონტდება უმაღლეს სტანდარტებს პასუხობს, გამოვრიცხავთ ყველანაირ გისოსებს და ციხის საკნების მსგავს სიტუაციას. აღდგება ლაბორატორია კლინიკაში, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა მუშაობა, ლაბორატორიული მომსახურება გულისხმობს შემდეგს: პაციენტი, როდესაც შემოდის კლინიკაში, უტარდება სისხლის, შარდის შაქრის და სხვა საჭირო ანალიზები. აქვე დავამატებთ, რომ ჩვენ გვიწევს ყველაფრის ახლიდან დაწყება და ამუშავება, რადგან არ ყოფილა სფერო, რომელიც ჩვენამდე მოწესრიგებული გახლდათ, ყველა კუთხით სავალალო მდგომარეობა იყო. ეს სასიკეთო ცვლილებები, რა თქმა უნდა, პაციენტებსაც შეეხო – მკვეთრად გაუმჯობესდა მათი სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობა. მედპერსონალისთვის მოწყობილი იქნება ცალკე სველი წერტილი.

- როგორც ვხედავთ, დიდი ყურადრება ექცევა ეზოს მოვლას...

– რასაკვირველია. წლების დაგროვილი ნაგავი ეზოდან დღემდე გაგვაქვს. ეზო, წლების განმავლობაში არ დასუფთავებულა – სრულიად გაუდაბურებული გახლდათ, იმდენად, რომ ფანჯრიდან მზის სინათლეც კი არ შემოდიოდა, შედეგად კი დანესტიანებული ოთახები დაგვხვდა. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ხაშურის მუნიციპალიტეტს და მის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" სამსახურს, გაწეული დახმარებისთვის. ყოველდღე 20 კაცამდე მუშაობს ჩვენთან ეზოს კეთილმოწყობისთვის. პირველივე დღიდან ვიგრძენით მათი მხრიდან დახმარების მზაობა და, ვიმედოვნებთ, მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა. ეზო საკმაოდ დიდია - 3 ჰექტარნახევრიანი ფართი უკავია.

ფაქტია, ჩარევა დროული აღმოჩნდა. ეზოში შესვლისთანავე, ვიგრძენით ის ცვლილებები, რაც კლინიკამ ახალი მმართველობის პირობებში განიცადა. ვიმედოვნებთ, კორპუსის მშენებლობაც დროულად დასრულდება, რათა პაციენტებმა ბოლომდე ისარგებლონ ამ ძირეული რეფორმების სიკეთეებით.

თინათინ ახალკაცი

- განათლება -

გამოსაშვები გამოცდები, მდგომარეობა არასახარბიელოა, თუმცა - არასაგანგაშო

მიუხედავად განათლების რეფორმის არასრულფასოვნებისა, რაზეც 2018 წელს სასკოლო გამოცდებზე ჩაჭრილთა მაღალი პროცენტული მაჩვენებელიც მეტყველებს, როგორც ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ამ მხრივ წლევანდელი მაჩვენებელი ჩვენს მუნიციპალიტეტში, არც ისე უიმედოა. დღეისათვის უკვე შეგვიძლია ვთქვათ მიახლოებული რიცხვიც-მე-12 კლასელების დაახლოებით 97%,-მა, ხოლო მე-11 კლასელების 98 %-მა პროცენტმა არსებული საგამოცდო ბარიერი წარმატებით გადალახეს, რაც მკვეთრად განსხვავდება ქვეყანაში არსებული დაბალი მაჩვენებლისგან. თუმცა, ესა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში, საგანმანათლებლო კუთხით, ყველაფერი წესრიგშია, პრობლემების არსებობაზე, ყველა ერთანდ თანხმდება, მასწავლებელიც, მშობელიც და მოსწავლეც. თუ რა არის სკოლის წინაშე არსებული გამოწვევები, რაც გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე ისაუბრებს:

-2017-2018 სასწავლო წლის დასასრულისთვის, 400-ზე მეტი საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული გვყავს, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გააგრძელონ სწავლა საშუალო საფეხურზე, ან დაეუფლონ პროფესიებს და სწავლა გააგრძელონ პროფესიულ სასწავლებლებში.

მიუხედავად იმისა, რომ გამოსაშვებ გამოცდებზე ქვეყნის მასშტაბით ჩაჭრილი მოსწავლეების რიცხვი არასახარბიელოა და სწავლის ხარისხისხთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს სვამს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლებში ჩვენი ინფორმაციით (რაც ვერ იქნება ზუსტი, იმდენად რამდენადაც რესურსცენტრს არ აქვს წვდომა გამოსაშვები გამოცდების შედეგებზე), ჩაჭრილი მოსწავლეების რიცხვი არ არის საგანგაშო და მეტიც, მე-11 კლასის გამოსაშვებ გამოცდებზე წელს ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი გვაქვს. როგორც იცით, სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდის მიმართულებით, თუმცა, დღეისათვის, მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხი. გარდა ამისა, არსებითად მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია და სკოლის სისტემატური გაცდენა, რაც სხვადასხვა პრობლემებითაა გამოწვეული.

რაც შეეხება სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად მიმართულ ღონისძიებებს, ვფიქრობ, რომ სკოლების მიერ ნაწილობრივ დაწყებულია ამ მიმართულებით მუშაობა რის ინდიკატორადაც გამოდგება ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებლად მასწავლებლების მიერ დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, საგაკვეთილო დაკვირვება, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და არა მხოლოდ სახელმწიფო მნიშვნელობის აქტივობებით, არამედ სკოლის ბაზაზე. გარდა ამისა, რისკის მართვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რაც მოგვცემს შესაძლებლობას სწორად გავიაზროთ რა რეალობის წინაშე ვდგავართ და რა ნაბიჯები გვაქვს გადასადგმელი სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდისთვის.

- სკოლა -

იქ, საოკუპაციო ხაზთან, უფრო გიყვარდება საქართველო

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებით, ტკოცის საჯარო სკოლაში მთელი რიგი ღონისძიებები გაიმართა, მათ შორის უმთავრესი კი საოკუპაციო ხაზთან მდებარე, გორის რაიონის სოფელ ნიქოზში ჩასვლა და ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებთან, ერთად საზეიმო ღონისძიების გამართვა იყო. ეს იყო მოლოდინს გადაჭარბებული სითბო, სიყვარული, პირველად დანახული მეგობრები, სამაგალითო დახვედრა, გულწრფელი ღიმილი, შეკავებული ცრემლი, ძნელად, გაჭირვებით წარმოთქმული სამადლობელი, სამშობლოს დასაცავად დაღუპული გმირების საფლავთან მწუხარებით დამუნჯებული სახეები...

თავდაპირველად, გეგმით დასახული საქართველოს დამოუკიდებლობის

100 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა ფარგლებში გასამართი ზეიმი ვიღას ახსოვს... გაცოცხლებული ტრაგედიის სურათები,ფიქრში ელვისებურად რომ ცვლიან ერთმანეთს. ტელევიზიიდან, გაზეთის ფურცლებიდან, სოციალური ქსელებიდან მეხსიერებაში ჩაბეჭდილი ტკივილი, შემდეგ ჩვენი მოძღვრის – მამა იოანეს თხოვნა – ბავშვებს შინდისის გმირების მემორიალთან შეესრულებინათ სიმღერა და... „საქართველო ნუ ატირდები... საქართველო დაგიბრუნდები...“. რაღაც სიმბოლურად გამოვიდა. გეგმა მხოლოდ გმირი ბიჭების მემორიალის გვირგვინით შემკობას და სამადლობელის თქმას ითვალისწინებდა.

სოფელ ნიქოზის საჯარო სკოლაში ჩვენ სტუმრების რანგში ვიყავით, მოსწავლე, მასწავლებელი, ჩვენი საპატიო სტუმრები: ქ.ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან ქალბატონები: მანანა აბაზაძე, მარიამ ფარეიშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, განათლების მუშაკთა ხაშურის რაიონული განყოფილების თავმჯდომარე, ინეზა ელისაშვილი – ყოველთვის ჩვენ გვერდით მდგომნი და ჩვენი საქმიანობის გამზიარებელნი.

მასპინძელი სკოლის პედაგოგებს არ სჭირდებოდათ თავიანთი ხელმძღვანელის, ქალბატონი ნათელა მინდიაშვილის მითითებები. არც მე დამჭირვებია ინსტრუქციების მიცემა ჩემი მასწავლებელ- მოსწავლეებისათვის. ყველაფერი თავისთავად აეწყო. მოსწავლეებსაც არ დასჭირვებიათ საგანგებოდ წარდგენა, ისე გაიცნეს ერთმანეთი . ბევრი საინტერესო დაგეხვდა სკოლაში, 2008 წლის ნაკვალევი თითქმის წაუშლია მზრუნველ ხელს ,მოვლილი საკლასო ოთახები, ლამაზად მოხატული დერეფნები, სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები... მაგრამ, როგორც ქალბატონი ნათელა ამბობს, გეგმები მრავალი და საინტერესო აქვთ.

სკოლის დათვალიერებისა და გაცნობის შემდეგ გამართულ კონცერტზე ჩვენი ძალები მოვსინჯეთ. ჯერ ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს სცენა. მისალმება, სოფლის ისტორიები, გულით ნათქვამი ლექსები სამშობლოზე.სიმღერები და ცეკვა „ქართული“ ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ლიკა და რომან გაგნიძეებმა შეასრულეს. მოგვესალმნენ და მივესალმეთ, წარვუდგინეთ ჩვენი

მხარე, სოფელი ტკოცა, მისი ღირსშესანიშნაობანი, მათაც წარმოგვიდგინეს, სოფელ ნიქოზის უადრესად საინტერესო ისტორია და განსაკუთრებით მძიმე სანახავი კადრები 2008 წლის აგვისტოს ომისა.

მადლობა, თქვენ, ნიქოზელებო! რომ ასეთი ძლიერები ხართ. დიდება თქვენს ღვაწლს! ბარაქალა თქვენს ადამიანობას, ქალობას, კაცობას, ყოჩაღ მოსწავლეებო: ქეთევან ზუბაშვილო, ვალერი კანდელაკო, ანა-მარია მჭედლიძევ! გასაოცრებო და განუმეორებლებო! და სრულად სკოლის მოსწავლეებო! დიდ და წარმატებულ მომავალს გისურვებთ, მადლობა სამრევლო სკოლის დირექტორს მამა დავით ჭიღლაძეს, გულთბილად მიღებისათვის. ვისი ხელმძღვანელობითაც სკოლაში მიმდინარეობს ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი სპეციალობების დაუფლება; როგორც ქორეოგრაფიის, მუსიკის, ასევე ხალხური რეწვის დარგებისა: თექა, ხეზე მუშაობა, ქარგვა და სხვა... სამრევლო სკოლაში მოქმედებს ჩრდილების ცნობილი თეატრი, რომელიც დიდ წარმატებებს აღწევს, არა მარტო საქართველოს მაშტაბით. თეატრის ბავშვებს თავიანთი შემოქმედება გატანილი აქვთ საზღვარგარეთის არაერთ ქვეყანაში.

დასასრულს ვეწვიეთ ნიქოზის ტაძარს, სადაც მოღვაწეობს მეუფე ისაია. ჩვენ პატივად გვერგო დავსწრებოდით წირვას და ჩვენ მოსწავლეებს შეესრულებინათ საგალობელი „ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“...

ქრისტეს მადლი შეეწიოს სრულიად საქართველოს!

ლიანა ლომიძე,
ტკოცის საჯარო სკოლის დირექტორი

„მითები ევროკავშირსა და ნატოს შესახებ" - პრეზენტაცია ბიბლიოთეკის ამერიკულ კუთხეში

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ამერიკულ კუთხეში დღეს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ მსჯელობდნენ.

„მითები ევროკავშირისა და ნატოს შესახებ" - ამ სახელწოდების პრეზენტაცია წარუდგინა აუდიტორიას მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების უფროსმა ნინო სუხიაშვილმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი შიდა ქართლში მარიამ გიგაური, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე, ამერიკული კუთხის კოორდინატორი ქეთევან მეტრეველი, მერიის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, დაინტერესებული პირები.

გაიმართა საინტერესო დისკუსია. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს იმ პოზიტიური შედეგების შესახებ, რაც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას და ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებულ ძალისხმევას ახლავს თან.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალში, უკვე მუნიციპალიტეტის სოფლებში გაიმართება.

- სკოლა -

ლიტერატურულ-თეატრალური კომპოზიცია

30 მაისს, სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის მე-2 საჯარო სკოლის, მე-8 კლასის მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს ლიტერატურულ-თეატრალური კომპოზიცია „სწრაფვა თავისუფლებისკენ, თუ ტერორისტული აქტი ?" ისაუბრეს 1983 წლის მოვლენაზე, როდესაც ახალგაზრდების 7 კაციანმა ჯგუფმა თვითმფრინავი გაიტაცა, საბჭოთა კავშირიდან გაქცევის მცდელობაზე, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა. ღონისძიებას ხელმძღვანელობა გაუწია სკოლის დირექტორის მოადგილემ ნინო კიკნაძემ. სადამოს, მოსწავლეებთან ერთად, ესწრებოდნენ მათი მშობლები, პედაგოგები და ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე.

სურამის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის, II საჯარო სკოლის დებატკლუბის წარმატება

პროექტის ფარგლებში „ისწავლე და გამოცადე დემოკრატია-ევროპული გამოცდილების გაზიარება სწავლების ინტერაქციულ მეთოდებსა და დებატებში", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარბაზში, ფინალური ტური ჩატარდა, სადაც ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სურამის №2 საჯარო სკოლის დებატკლუბმა, რომელსაც სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი დალი ბროლიძე ხელმძღვანელობს, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით, გამორჩეულ მოდებატეებს კი გადაეცათ საჩუქრები და საზაფხულო ბანაკის საგზურები.

საინტერესო გამოფენა

ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებით განვითარების ცენტრში კიდევ ერთი

საინტერესო გამოფენა გაიხსნა, რომელიც ხალხური რეწვის – ქარგვის და თექის წრის ხელმძღვანელების ლალი ხვედელიანის და ანი ლომიძის ორგანიზებით მოეწყო. წრის წევრებმა გამოფენაზე წარმოადგინეს მთელი წლის მანძილზე საკუთარი ხელით შექმნილი ნამუშევრები.

მოსწავლეთა სამყარო საინტერესოდაა გადმოცემული, ქარგულობის ორი მიმდინარეობის- ჯვარედინ და ნაფენ, როგორც შავ – თეთრ, ასევე ფერად კომპოზიციებში. ნამუშევრები დიდი სიფაქიზით და გემოვნებით აქვთ შესრულებული. თექის ფერად შემოქმედებაში, მოსწავლეებს ნატურალურ მატყლთან ერთად, გამოყენებული აქვთ საქსოვი ძაფები, წული და ბისერები. თექის აქსესუარებში და ნატურმორტებში ნათლად ჩანს ფერთა საოცარი გადაწყვეტა და დახვეწილი გემოვნება – ეს ყველაფერი ხელმძღავნელების დიდი გავლენაა მათ შეგირდებზე.

გამოფენამ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა დამთვალიერებელში. ქარგვის წრის კურსდამთავრებულებს, ცენტრის მიერ, გადაეცათ სერტიფიკატები.

ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, გამოფენას, როგორც ყოველთვის, უამრავი დამთვალიერებელი სტუმრობდა.

მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა - დათვალიერება გაგრძელდება 29 ივნისის ჩათვლით.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2018 წლის 5 თვის შესრულებული სამუშაოს ანგარიში

ა(ა)იპ "ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" დაფუძნდა 2010წლის 24 დეკემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №163 განკარგულების საფუძველზე.

ა(ა)იპ-ის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №129 განკარგულებიდან გამომდინარე, დაევალა ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2018წლის მუნიციპალური პროგრამის განხორციელება.

კერძოდ:

მუხლი 2. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

მუხლი 3. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებები;

მუხლი 4. მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ღონისძიებები

მუხლი 5. მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ღონისძიებები

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის პროგრამით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში შემოწმებული იქნა №1, №3 №4, №5 №6, №7, №8, №9, №10, №11 №12 (ოსიაურის), №13 (გომის) №14 (ვაყის) №15 (ქვიშხეთის) საბაშვო ბაგა-ბაღის სანიტარულ–ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წლის მანძილზე ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ დაფიქსირდა შემდეგი ინფექციები: ყივანახვალა-2, წითელა—3, ჩუტყვავილა-136, ბრუცელოზი—2, სავარაუდო დიარეული დაავადება-132, ტეტანუსი –1, ჰეპატიტი „ბ"-6 (2 ორსული), ჰეპატიტი „ც"-35, ნოზოკომიალური ინფექცია-1, ტუბერკულოზი—11, ქუნთრუშა-14, სიფილისი-1, (ორსული), გრიპი-94, მწვავე რესპირატორული დაავადება-1518, ყველა შემთხვევა შეტანილია "დეიზის" სპეციალურ ბაზაში. ჩატარებულია ეპიდემიოლოგიურ კვლევები. კვლავ მომატებულია „ც" ჰეპატიტის შემთხვევების რაოდენობა, რაც ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამით ჩატარებული სკრინინგული კვლევების შედეგია. ცენტრის მიერ სხვადასხვა დაწესებულებებში სკრინინგი ჩაუტარდა 55 პიროვნებას, 5 შემთხვევაში გამოვლინდა დადებითი შედეგი, ყველა მათგანი გაიგზავნა შემდგომი კვლევისა და მკურნალობის ჩასატარებლად.

ჰელმინთოზების გამოვლენის მიზნით. გამოკვლეული იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღის და ალტერნატიული ბაღის 845 აღსაზრდელი. ინვაზირებული აღმოჩნდა 89 (73-ენტერობიუსით, 16 ასკარიდოზით). ინვაზირებულ პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებს ჩაუტარდათ შესაბამისი მკურნალობა (მებენდაზოლით).

ცხოველების მიერ დაზარალებულ პირთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 286 (2017წ-275) (მ.შ. 189-პატრონიანი და 97--მოხეტიალე ცხოველით). ყველა მათგანს ჩაუტარდა ანტირაბიული აცრების შესაბამისი კურსი. გაიხარჯა 888(2017წ-789) დოზა ვაქცინა და 56 (2017წ-44--19) იმუნოგლობულინი (21 დაზარალებულზე). ყველა შემთხვევა ეცნობა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ადგილობრივ სამსახურს ცხოველებში ეპიდკვლევების ჩასატარებლად. საანგარიშო პერიოდში, ანტირაბიული კაბინეტი მომარაგებული იყო ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის საკმარისი რაოდენობით.

2018 წლის პერიოდში, რაიონის ტერიტორიაზე ვაქცინაცია მიმდინარეობდა "ცივი ჯაჭვის" წესების სრული დაცვით. შემოტანილია ვაქცინების საჭირო მარაგი. გრძელდება წითელას საწინააღმდეგო კომპანია.

მონიტორინგი ჩაუტარდა ყველა სოფლის ამბულატორიას, ადგილზე შესწავლილი იქნა ეპიდსიტუაცია და ვაქცინაციის მიმდინარეობა. სამწუხაროდ, მედპერსონალთან და მშობლებთან, მრავალი ტრენინგისა და შეხვედრის მიუხედავად, ვაქცინაციის პროცენტული მაჩვენებლები დაბალია, განსაკუთრებით ქალაქ ხაშურში. იანვარ-აპრილში ჩატარდა დამატებით ასაცრელ ბავშვთა მობილიზება, მაგრამ მოცვის მაჩვენებელმა შეადგინა 79% (ნაცლად 95%).

„ც" ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებად სალონებში ჩატარდა მონიტორინგი (19 სალონი), გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, მიეცათ რეკომენდაციები და გარკვეული დრო გამოსასწორებლად.

საანგარიშო პერიოდში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასთან დაკავშირებით, ჩატარდა სან. განათლებითი ლექცია-სემინარები, სურამის №1 საჯარო სკოლაში „4 თებერვალი კიბოსთან ბრძოლის დღე". საჯარო სკოლების ლიდერებთან -„ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე", 29 მარტი - „საქართველო თამბაქოს გარეშე" - 26-30 აპრილი - „მსოფლიო იმუნიზაციის კვირეული" (შეხვედრა სკოლის დირექტორებთან). თამბაქოს კანონთან დაკავშირებით, შეხვედრები კაფე-რესტორნების, სარიტუალო დარბაზების მფლობელებთან.

დაიწყო მონიტორინგი თამბაქოს კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით.

დ. ჩიქოვანი
ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

ტკოცის საჯარო სკოლაში პროექტი „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნისა" განხორციელდა

ტკოცის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ (ხელმძღვანელი: მანანა კანთელაშვილი) საინტერესო პროექტი განახორციელა.

პროექტზე მუშაობისას, კათედრის ხელმძღვანელთან, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო ჩხიტუნიძეც თანამშრომლობდა.

პროექტი მრავალ აქტივობებს მოიცავდა და ემსახურებოდა მნიშვნელოვან მიზნებს: მშობლიური ენის სიყვარულის გაძლიერებას, ენის სიწმინდის დაცვას, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეებში კვლევა-ძიების უნარების გამომუშავებას.

პედაგოგების ხელშეწყობით, მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით, მნიშვნელოვანი განაცხადები გააკეთეს.

ქართული დამწერლობა ერთ-ერთი უნიკალურია მსოფლიოში. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ იუნესკომ იგი მსოფლიოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. მსგავსი პროექტები ხელს უწყობს ჩვენი დამწერლობის ამ უნიკალობის უფრო ფართოდ წარმოჩენას და მისი მნიშვნელობის გათავისებას.

სახალისო ისტორიები

როგორ მოგვპარეს” იაპონელებმა ათი ღიტრი ღვინო

გასული საუკუნის 90-იანი წლებია. ეროვნული მოძრაობა ზენიტშია. არც დღესაა ნაკლები, მაგრამ მაშინ პარტიების სიმრავლით, მგონი, პირველ ადგილზე ვიყავით მსოფლიოში. ვისაც არ ეზარებოდა, პარტიას ქმნიდა. დღეში 4-5 პარტია რეგისტრირდებოდა და ყველას პრეტენზია ჰქონდა, რომ ის იყო ერის მშველელი და მესია. მოკლედ, ერთმა სურამელმაც შექმნა პარტია. სიმართლე გითხრათ, დღესაც ვერ ვიხსენებ პარტიის სახელს-ან “დიადი საქართველო”, ან “საქართველოს ერთიანობა” ან რაღაც მსგავსი ერქვა. მაშინ ხომ მთავარი იყო, პარტიის სახელწოდებაში მაღალ კონტექსტში გაჟღერებულიყო “საქართველო” და წარმატება გარანტირებული ეგონათ. ჰოდა, ახალმა პარტიამ ყრილობის ჩატარებაც მოიწადინა. “რა არის იგი პარტია, რასაც არ ახლავს ყრილობა”-ო, თქვეს და თარიღიც დანიშნეს. მგონი, თავდაპირველად, არც უფიქრიათ, რომ ყრილობას, მინიმუმ, ათასი კაცი მაინც სჭირდება. ამ ოთხ თუ ხუთკაციან პარტიას სად ჰყავდა ათასი წევრი? გამოსავალიც გამოინახა და თითოეულ წევრს მთელი სანათესაოს და სამეგობროს შეკრება დაევალა. ამ ჩვენმა ნაცნობმა სურამელმაც შეკრიბა სამეგობრო და ხვეწნა-მუდარით დაგვიყოლია თბილისში სტუმრობაზე. ვერ ვუთხარით უარი, ვიქირავეთ მიკროავტობუსი და ჰერი, ყრილობაზე. ძალიან კარგად ვიცოდით, რომ იქ ჩვენთვის არავის ეცლებოდა და თადარიგიც დავიჭირეთ. საკვებიც წავიღეთ და რაც მთავარია, ათლიტრიანი “ბულბულის ცრემლებიც” თან გავიყოლეთ, ძლივს კი ვიშოვეთ, მაგრამ ისეთია, სახურავს რომ მოხსნი, შხეფები პირდაპირ სახეში გეფრქვევა. “გორული მწვანე” და “ჩინებულის” თაიგულია-აი, რომ დალევ და პირველივე ჭიქაზე ხვდები, რისი ნაკადულებია სამოთხეში.

მოვამთავრეთ ყრილობა. გადავიტყავეთ ხელისგულები ტაშისკვრით. გამომსვლელებმა ჩვენც და თავის თავიც დააჯერეს, რომ მხოლოდ ისინი არიან საქართველოს მხსნელები და წამოვედით უკან. მცხეთის ცნობილი სალობიეა ჩვენი ორიენტირი და ერთი სული გვაქვს, როდის მოვუსხდებით მაგიდას. გამოვცდით თბილისს. აი, სწორედ აქ მოგვივიდა დიდი “შეცდომა” - რომელიღაცას იდეა მოუვიდა, რომ ჯერ ჯვრის მონასტერი მოგვენახულებინა და მერე ვსტუმრებოდით სალობიეს. ავედით მონასტერში. მოგეხსენებათ, ჯვრის მონასტერს, წინ, დიდი ეზო აქვს, რომელიც შეღობილია. გავჩერდით ჭიშკართან. აი, აქ კიდევ ერთი “გენიალური” იდეა მოუვიდა რომელიღაცას-გადმოგვეღო ჩვენი ათლიტრიანი და ეს დიდებული ტაძარი დაგველოცა. ვინ შეგვიშლიდა ხელს ამ “სუპერიდეის” განხორციელებაში? ავიღე ბოცა და ის იყო პირველი ჭიქა შევავსე, რომ ჩვენს უკან ავტობუსი გაჩერდა. მაშინ, უცხოელი ტურისტები ისეთივე უცხო მოვლენა იყო საქართველოში, როგორც 24 საათიანი ელექტროენერგია, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ(სავალალოდ მერე აღმოჩნდა, თორემ იმ წუთს მათ წინააღმდეგ როგორ შეიძლებოდა რაიმე პრეტენზია გვქონოდა) სწორედ უცხოელები-იაპონელები იყვნენ ავტობუსში. მეორედ ჩვენდა სავალალოდ, ავტობუსის მძღოლი სურამელთა სიძე აღმოჩნდა, რომელსაც ყველა ვიცნობდით,. ბუნებრივია, გაგვეხარდა მისი დანახვა და პირდაპირ ჭიქა ვაჯახეთ ხელში. მანაც დაილოცა და დალია. აი, აქ მოხდა “უბედურება”, როდესაც უკან მოვიხედე, ბოცა ხელში გამიშეშდა. ეს მოწესრიგებული იაპონელები, ყველა უკლებლივ, ასე, ორმოცი კაცი, დგას პირდაპირ ჩემს უკან რიგში და ყველას პლასტმასის ჭიქა უჭირავს ხელში. ეტყობა, იფიქრეს, რომ მონასტერში შესვლამდე, საქართველოში, ან მართლმადიდებლური წესით, ერთი ჭიქის დალევა აუცილებელი რიტუალია, მე თქვენ გეტყვით და რიგს არევდნენ. მოვიდა პირველი და გამომიწოდა ჭიქა. ჩამოვუსხი და ერთს ვლოცულობ-ეგებ არ მოეწონოს და სხვებს უთხრას, რომ არ ღირს ამის დალევა. თქვენც არ მომიკვდეთ! გადაკრა ამანაც და ყველა სხვა დანარჩენმაც, ინგლისურად სულ “გუდგუდ’ იძახეს. ქართველ კაცს კი უნდა გიხაროდეს, როდესაც ღვინოს გიქებენ, მაგრამ სიხარულის თავი მაქვს? დაიცალა ნახევარი ბოცა და არა და არ მთავრდებიან იაპონელები. უკვე ხელი მიკანკალებს. როგორც იქნა, გამოჩნდა ბოლო იაპონელი, გულზე მომეშვა, მაგრამ რაღად გინდა? ფაფუ ღვინო! ბოლო ჭიქა იმას ჩამოვუსხი. ძალიან მძიმე აზრები ტრიალებს თავში, მაგრამ ხმამაღლა როგორ ვიტყვი-ისეთი აზრები და სიტყვებია, შეიძლება საერთაშორისო სკანდალი ავკიდო ჩემს სამშობლოს. მხოლოდ ერთი ჩავიბურტყუნე-ბარემ, ეს ბოცაც გაგეყოლებინათ-მეთქი და ფერდაკარგული ჩავჯექი ავტობუსში.

სალობიეში კი დავსხედით, მაგრამ ჩვენი გამოტირებული “ბულბულის ცრემლების” შემდეგ, იქაური წყალწყალა ღვინო არც კი გაგვისინჯავს.

ახლა უკვე წლებია გასული და მიხარია, რომ თუ დღეს საქართველოსა და იაპონიას შორის თბილი ურთიერთობებია, ამაში მოკრძალებული წვლილი “გორულ მწვანეს”, “ჩინებულს” და სურამლებსაც მიგვიძღვის.

გოგი გოგოლაძე

Big raund-ის გამარჯვებული სურამის IV საჯარო სკოლა გახდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, მ.წ. 16 ივნისს, ქ. ქობულეთში, ინტელექტუალური თამაშის “BIG raund” ფინალური შეხვედრა გაიმართა. ფინალში სამი სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას. თამაში საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. დაძაბული დღის ბოლოს კი საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: I ადგილი - სსიპ სურამის ქრისტეფორე III-ის სახელობის მე-4 საჯარო სკოლა; II ადგილი - სსიპ ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საჯარო სკოლა და III ადგილი - სსიპ ხაშურის მე-8 საჯარო სკოლა. სამივე სკოლის გუნდი სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა. ვულოცავთ თითოეულ გუნდს მიღწეულ წარმატებას.

ინტელექტუალური თამაში “BIG raund” ყოველწლიურად იმართება და მასში მონაწილეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლას შეუძლია.

- ჯომარდობა -

“მომავლის სახლის” ბენეფიციარების მეორე ადგილი

17 ივნისს, ბორჯომის ხეობაში, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ჯომარდობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა შშმ პირებმა. ტრადიციული ჩემპიონატი “აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა”, “ახალგაზრდული მედიაკავშირის” ორგანიზებით გაიმართა, რომელიც შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს. “მომავლის სახლის” ბენეფიციარებისგან დაკომპლექტებული გუნდი “მგლები”, მეოთხე წელია ასპარეზობს აღნიშნულ ტურნირში და წელს, ჩვენდა გასახარად, დამსახურებული მეორე ადგილიც დაიკავა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი და მერის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე.

14 ივნისი - შშმ პირთა დღე საქართველოში

14 ივნისს, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით, კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრმა “მომავლის სახლი”, კონცერტი გამართა, რომელიც ერთგვარად საანგარიშო ხასიათისაც იყო. “ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით”-სახელწოდების ღონისძიებაში “მომავლის სახლის” ბენეფიციარები, ანსამბლები “ციცინათელა” და “ოქროს ფარი” მონაწილეობდნენ. ღონისძიებას სტუმრობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, საკრებულოს წარმომადგენლები. განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტის ხელმძღვ-ანელი თინა ბრეგ-ვაძე, რომელიც “მო-მავლის სახლის” მეგობარი და გულშემატკივარია. ამ ღონისძიებით, ბავშვებმა საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ გააკეთეს გზავნილი, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.